ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 დეკემბრის №01-02/236 ბრძანების

დანართი №1

პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ბსუ-ს მუშაობის წესი

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია ,,პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 17 თებერვლის №17/ნ ბრძანების (შემდეგში - **მინისტრის ბრძანება)** შესაბამისად და არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომ – მართვის სისტემა) სერვერზე განთავსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში - პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (შემდეგში - სისტემა ან/და რეესტრი) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში - ბსუ) პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში - ბსუ-ს პროფესიული ცენტრის) მუშაობის პირობებს, განსაზღვრავს სისტემაში ინფორმაციის შეტანისათვის უფლებამოსილ და პასუხისმგებელ პირს, ინფორმაციის შეტანის, რეგისტრირებულ ინფორმაციაში ცვლილების განხორციელებისა და სისტემიდან ინფორმაციის ამოღების პროცედურებს.

2. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში **მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, დადგენილ ვადაში და წესით** აისახება ინფორმაცია ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტების/ჩარიცხული პირების შესახებ, ასევე მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

3. მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მუშაობისათვის, **ბსუ-ს მხრიდან განსაზღვრული უფლებამოსილი პირებია:** პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების **ცენტრის ხარისხის მართვის კოორდინატორი (ძირითადი შემსრულებელი) და** ცენტრის სასწავლო პროცესის მენეჯერი (უწევს კოორდინაციას). სისტემაში ინფორმაციის ასახვის პროცესს მონიტორინგს უწევს ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.